ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4603031

ნომერი: AR1695760

თარიღი : 19.07.2019

გაცემის თარიღი : 24.07.2019

გაცნობის თარიღი : 25.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ი.აბაშიძის ქუჩა #81-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჭაბუკი ცომაია პ/ნ 62005026416
- თბილისი მხატვრის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ი. აბაშიძის ქ. №81-89-ის მიმდებარედ (ნაკვ. №23/028)–ში, სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შპს "ასორტი ვერე"-ს მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ღია სეზონური კაფის (პოდიუმის და შემომზღუდავი საყვავილე-მოაჯირის) მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას., რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882017613666 13.07.2017 წ., საკადასტრო კოდი №01.14.11.023.028; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ესკიზური გენგეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ი. აბაშიძის ქ. №81-89-ის მიმდებარედ (ნაკვ. №23/028)–ში, სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შპს "ასორტი ვერე"-ს მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ღია სეზონური კაფის (პოდიუმის და შემომზღუდავი საყვავილე-მოაჯირის) მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღია სეზონური კაფე უნდა მოეწყოს №01.14.11.023.028 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge